

კინგსის მათემატიკის ოლიმპიადის I ტური

მე-7 კლასი

- ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რომელს აქვს ყველაზე მეტი განსხვავებული მარტივი გამყოფი?
A. 128 B. 288 C. 210
- თუ ჩაფიქრებულ რიცხვს გავყოფთ მასზე 7-ჯერ პატარა რიცხვზე და მიღებულ შედეგს გავამრავლებთ 13-ზე, მაშინ მივიღებთ?
A. 39 B. 91 C. 120
- ჩაფიქრებულ ორნიშნა რიცხვს მიუმატეს მისი ციფრთა ჯამი და მიიღეს 90. გამოიცანით ჩაფიქრებული რიცხვი.
A. 40 B. 69 C. 81
- მინიმუმ რამდენი წრფე უნდა გავავლოთ, რომ ოთხკუთხედი ამ წრფეებით დაიყოს 7 ნაწილად?
A. 3 B. 4 C. 5
- თუ ავტობუსით წავალთ, მაშინ კინგსის ოლიმპიადაზე 10 წუთი დაგვაგვიანდება. თუ ტაქსით წავალთ და ორჯერ უფრო სწრაფად ვივლით, მაშინ ოლიმპიადის დაწყებამდე 5 წუთით ადრე მივალთ. რამდენ წუთში იწყება ოლიმპიადა?
A. 10წთ-ში B. 20 წთ-ში C. 25 წთ-ში